ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტი „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსი“-ს მე-7 მუხლის პირველი ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,ადგილობრივი გადასახადების შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ “ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 მარტის №15 დადგენილება.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსი ლელა მდინარაძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ"

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: ლელა მდინარაძე

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტი „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსი“-ს მე-7 მუხლის პირველი ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

შემოღებულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადი და მისი განაკვეთები განისაზღვროს დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2.

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ “ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 მარტის №15 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი: ლელა მდინარაძე

დანართი

ადგილობრივი გადასახადის განაკვეთები

მუხლი 1.

საწარმოსთვის (ორგანიზაციისთვის) ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3-ჯერ.

მუხლი 2.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტი.

მუხლი 3.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.2 პროცენტი;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1,0 პროცენტი.

მუხლი 4.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთებია ლარებში ერთ ჰექტარზე

1	სახნავი (მათ შორის მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე)	60
	საკარმიდამო	60
2	სათიბი (მათ შორის ბუნებრივი და გაკულტურებული)	20
3	საძოვარი (მათ შორის ბუნებრივი და გაკულტურებული)	16
4	ტყის მიწაზე (სასოფლო–სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული)	28

5	(ამოღებულია - 13.06.2012, №33)	

მუხლი 5.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირებისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწები ერთ ჰექტარზე განისაზღვროს 3 (სამი) ლარით.

მუხლი 6.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ლარებში ერთ კვადრატულ მეტრზე

№	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	საბაზისო განაკვეთი (ლარი)	ტერიტორიული კოეფიციენტი	გადასახადის განაკვეთი (ლარი)
1	დ . ჩოხატაური	0,24	1,0	0,24
2	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებ ში	0.24	0.8	0.192
3	კურორტი ბახმარო	0,24	1,5	0,36

მუხლი 7.

1. ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

2. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდეს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 400 კვ. მეტრს;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 40 კვ. მეტრს.

დასკვნა

ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ - დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" - შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტი „დ.ბ" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია საქართველოს საგადასახადო კოდექსი მე-7 მუხლის პირველი ნაწილთან, რომლის თანახმადაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტთან, რომლის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*